საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2678 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, არ გავრცელდეს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა:

ა) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა „სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მართვის“ (პროგრამული კოდი: 35 01 05) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 6 ერთეულით;

ბ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა „სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის“ (პროგრამული კოდი: 35 02 05) პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 526 ერთეულით;

გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა საგრანტო პროექტის – „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 5 ერთეულით, ხოლო საშუალო შრომის ანაზღაურება – არა უმეტეს 2 291 ლარით;

დ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა საგრანტო პროექტის – „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 1 ერთეულით, ხოლო საშუალო შრომის ანაზღაურება – არა უმეტეს 1 528 ლარით;

ე) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა საგრანტო პროექტის – „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 4 ერთეულით, ხოლო საშუალო შრომის ანაზღაურება – არა უმეტეს 700 ლარით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე

გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ნოემბრის №2396 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი